ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

(საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2024 წლის აპრილიდან დღემდე პერიოდს)

2025 წელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია შედგება თერთმეტი დეპუტატისაგან:

1. მარინე ხვედელიძე;

2. დავით კიკნაძე;

3. ირმა ვაქერ-სებისკვერაძე;

4. უშანგი ბერაძე;

5. ეკატერინე შველიძე;

6. ნონა ზურაბიანი;

7. ვერა ოდიკაძე;

8. დოდო ხაჩიძე;

9. ბაქარ ბარბაქაძე;

10. ირმა ალხაზიშვილი;

11. ინგა მაღრაძე.

კომისია უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულების შესაბამისად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა ათი სხდომა. მოვისმინეთ:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში;

ა(ა)იპ ხარაგაულის ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;

კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;

ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ანგარიში;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ასევე მოვისმინეთ ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;

ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;

კომისიამ ერთობლივად იმუშავა 2025 წლის სამოქმედო გეგმაზე.

კომისიის თითოეული წევრი სხვა კომისიებთან ერთად, მაქსიმალურად იყო ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაში. 2025 წლის ბიუჯეტში ახალგაზრდობის მხარდაჭერისათვის გათვალისწინებული იყო 20 000 ლარი. კომისიამ იმსჯელა თანხა 10 000 ლარის ოდენობით გაზრდილიყო. აღნიშნული ახალგაზრდებში გააჩენს და ხელს შეუწყობს მოტივაციას. შესაბამისად კომისიის ფარგლებში ასევე ვიმსჯელეთ

გრანტის მფლობელი პირველკურსელი სტუდენტების დაჯილდოების ახალ წესზე. 100%-იანი გრანტის მფლობელი ერთჯერადად რომ დაჯილდოვდეს 1000 ლარის ოდენობით, 70%-იანი გრანტის მფლობელი- 800 ლარის ოდენობით, ხოლო 50%-იან გრანტს ვინც მოიპოვებს- 600 ლარის ოდენობით.

ვთანამშრომლობდით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან, მერიის შესაბამის სამსახურებთან, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან. კომისია ჩართული იყო საკითხში, თუ როგორ ემზადებოდნენ და ხვდებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლები და ბაღები ახალი სასწავლო წელს. მაქსიმალურად ვცდილობთ წარმოვაჩინოთ ხარაგაულში განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით არსებული აიპების როგორც მიღწევები, წარმატებები, ასევე დასაძლევი საკითხები.

2024 წელს ეთერ კიკნაძის სახელობის ბაღების გაერთიანებას შეემატა კიდევ ერთი ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი შენობა, კიცხის N2 საბავშვო ბაღი. ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად წელს გაერთიანებამ კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა საავტორიზაციო საბავშვო ბაღები. მიმდინარეობს ხევის საბავშვო ბაღის მშენებლობა და ახალი სასწავლო წლისათვის მოლოდინი გვაქვს, რომ ახალი შენობით შეხვდებიან.

2024 წლის ბოლოს დასრულდა სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლევის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია. სკოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე 2 მილიონზე მეტი დაიხარჯა და სამუშაოები სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელდა. კვლავ პრობლემად რჩება წყალაფორეთის სკოლის მშენებლობის საკითხი. მოგეხსენებათ, ახალი სკოლის პროექტი გამზადებულია ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ. ამ ეტაპზე სასწავლო პროცესი თეთრაწყაროს სკოლის შენობაში ხორციელდება. სამინისტროსთან აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობს, ველოდებით კონკრეტულ შედეგებს.

საკრებულოს თავმჯდომარის ქალბატონ მანანა ბარბაქაძის ინიციატივით უკვე წლებია საკრებულოში ფუნქციონირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულო, რომელთანაც განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია აქტიურად თანამშრომლობს და საანგარიშო პერიოდში არაერთ საინტერესო პროექტი განხორციელდა: 17 მარტს, გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალების დღეს, ახალგაზრდული საკრებულოს წევრები სოფელ ფარცხნალში ხარაძეების ოჯახს სტუმრობდნენ, სადაც პოეტი 1910-1911 წლებში ცხოვრობდა. შემდეგ ეკლესიის ეზოში პოეტის მიერ დარგული ცაცხვის ხესთან გაიხსენეს დიდი შემოქმედის ბიოგრაფიული დეტალები და წაიკითხეს ლექსები; 21 მარტს დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე აღნიშნეს და კამპანიას -„მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“ - მრავალფეროვანი აქტივობებით

შეუერთდნენ; 9 აპრილს მემორიალი ყვავილებით შეამკეს და 9 აპრილის ტრაგიკულ ღამეს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს; დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ახალგაზრდული საკრებულოს წევრები მრავალფეროვანი აქტივობით შეუერთდნენ; 9 მაისს ხარაგაულის ახალგაზრდული საკრებულოს წევრებმა მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს; პირველ ივნისს აღნიშნეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

საანგარიშო პერიოდში კომისია ჩართული იყო სხვადასხვა კულტურულ, შემეცნებითსა და სპორტულ ღონისძიებებში.

მადლობას ვუხდი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას აქტიური თანამშრომლობისათვის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ

საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

მარინე ხვედელიძე